სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების დანართი N 1
დამტკიცებულია აკადემური საბჭოს 2019 წლის 27 აგვისტოს 55/19 ოქმით

სამეცნიერო პუბლიკაციისათვის პრემიის მისაღებად აუცილებელია ორი პირობა:

1. სტატიაში ავტორს ან თანაავტორს მითითებული ჰქონდეს აფილიაცია საქართველოს უნივერსიტეტთან;

2. პუბლიკაცია გამოქვეყნებული ან მიღებული იყოს Elsevier-ის Scopus-ის ბაზაში შემავალ ჟურნალში;

პრემიის ოდენობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება სამი პარამეტრი:

რა პოზიციაზეა ჟურნალი თავისი დარგ(ებ)ის ჟურნალებს შორის;

როგორია ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების ფარდობითი (დარგზე ნორმალიზებული) ციტირებადობის განაწილება;

ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიების რა წილია ციტირებადობით თავისი დარგის სტატიების ტოპ 10%-ში.

პრემია გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ ხსენებული სამი პარამეტრის შეჯერების შედეგად ჟურნალის რეიტინგი შეადგენს მაქსიმალური შესაძლო რეიტინგის არანაკლებ 20%-ს.